აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №17

20/12/2024 წელი **ქ. ბათუმი**
11⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უმაღლესი საარჩევნო კომისიაზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნეს 2025 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2025 წლის ხარჯთაღრიცხვა, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

(თან ერთვის)

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უსკოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის

ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის 28 დეკემბრის №3 განკარგულება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**